



11.06.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მეოთხე სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №2

1. მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
ლევან გზირიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
რევაზ ნადარაია	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო გვენეტაძე	საქართველოს უზენაესი სასამართლო
შორენა მეზურნიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ სულაქველიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ პაპაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ანიკო ფარჯიანი	სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა
თამარ პაპაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვახტანგ გარდაფხაძე	სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მარიამ მხატვარი	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით მიმდინარე საკითხების განხილვა.

3. მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

2018 წლის 11 ივნისის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 7 წევრი: რევაზ ნადარაია, ლევან გზირიშვილი, ნინო გვენეტაძე, თამარ სულაქველიძე, შორენა მეზურნიშვილი, ვახტანგ გარდაფხაძე, ანიკო ფარჯიანი. კვორუმი შედგა, კენჭისყრის შედეგად ჯგუფის დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობით მეოთხე სამუშაო ჯგუფის სხდომას შემოუერთდა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის წარმომადგენელი მარიამ მხატვარი. ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე. ჯგუფის წევრმა, ქალბატონმა - ნ. გვენეტაძემ ისაუბრა 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მიხედვით ჩატარებული სამუშაოების თაობაზე. ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე: ადამიანის უფლებათა რეგიონული ცენტრის დაარსება მოსამართლეთა და სასამართლოს შესაბამისი პერსონალის კონსულტირების მიზნით (იგულისხმება მსხვილ სასამართლოებში შესაბამისი პროფილის კონსულტანტის პოზიციის შექმნა/გადამზადება),¹ მოწმეთა დაკითხვის პრაქტიკის ანალიზი,² სასამართლოსათვის მიმართვის უფლებისა და სასამართლოს სერვისების შესახებ საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება,³ სასამართლოში გენდერული მგრძობელობის საკითხების გააქტიურება.⁴

¹ პროგრამა 5.1.1-ის მეოთხე აქტივობა.

² პროგრამა 5.1.1-ის მეშვიდე აქტივობა.

³ პროგრამა 5.4.2-ის აქტივობები.

⁴ პროგრამა 5.2.7-ის აქტივობები.

4. მეოთხე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგზე

მეოთხე სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელმა, ბატონმა ლ. გზირიშვილმა ჯგუფის წევრებს გააცნო სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების პროცესისა და მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშის სამუშაო ვერსია. მეოთხე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე წევრებს დაევალიათ მომავალ სხდომაზე თავიანთი მოსაზრებებს წარმოდგენა აღნიშნული ანგარიშის თაობაზე. ჯგუფის წევრს, ბატონ ვ. გარდაფხამეს დაევალია სამომავლოდ პროგრამა 5.2.4-ის ფარგლებში (შ.შ.მ პირებისათვის სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებასა და ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა) ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.

5. თანდართული დოკუმენტები

- მეოთხე სამუშაო ჯგუფის 2018 წლის 11 ივნისის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამომხსენებლები:



ლევან გზირიშვილი

რევაზ ნადარაია

სხდომის მდივანი:

ნინო დემურხანაშვილი



IV სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი

შეხვედრის ადგილი:	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თარიღი:	11 ივნისი, 2018
დრო:	13:30საათი

განსახილველი საკითხები:

- 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით მიმდინარე საკითხების განხილვა.